ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ფორმა №1

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

პირადი მონაცემები აპლიკანტის შესახებ:

სახელი და გვარი:.....

პირადი ნომერი: .....

ფაქტობრივი მისამართი: .....

ელფოსტა: .....

ტელეფონი: .....

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენს მიერ წარმოდგენილი განაცხადი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი/სასწავლო ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება (იქნება განთავსებული უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე შესაბამისი თარიღის მითითებით) ან მესამე პირებისთვის გადაცემა. იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებით ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ, შემოხაზოთ ,,თანახმა ვარ“ და ხელმოწერით დაადასტუროთ

თანახმა ვარ ხელმოწერა.....

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
2. სადოქტორო კვლევითი განაცხადი (დანართი #1) რომელიც ხელმოწერილი იქნება პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ;
3. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის;
4. ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, FCE), რომლის გამსვლელი ზღვარი დგინდება მიღების გამოცხადების წინ ფაკულტეტის საბჭოს მიერ; ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ავტობიოგრაფია (CV);
6. 3X4 ფოტოსურათის ელ. ვერსია;
7. სადოქტორო პროგრამაზე მიღების მიზნებისთვის დამტკიცებული, აპლიკანტის მიერ შევსებული და მისი პოტენციური ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი თანხმობის ფორმა. (დანართი #2);
8. შესაბამის სფეროში კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომის/პუბლიკაცია; ან/და მის მიერ სამეცნიერო-კვლევითი პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დამატებითი ინფორმაცია:

უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება/მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;

აპლიკანტი ინგლისური ენის გამოცდისაგან გათავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის სერტიფიკატს, ქვემოთ მოცემული პროგრამული მოთხოვნების შესაბამისად ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ფორმა №1

უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს აღიარების დოკუმენტიც. სხვა შემთხვევაში, აპლიკანტი ვალდებულია გამოცხადდეს ინგლისური ენის გამოცდაზე.

წარმოსადგენი სერტიფიკატების ჩამონათვალი:

ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომლებიც ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის კომპეტენციას დაადასტურებენ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის წარმოდგენით:

- ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL: მინიმუმ 72, FCE - მინიმუმ Grade C (160), IELTS: მინიმუმ 5.5);
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე;
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სააპლიკაციო ფორმის შევსებით ვადასტურებ მოცემული ინფორმაციის სისწორეს.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის **მათემატიკის სადოქტორო პროგრამაზე** ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

სახელი და გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი: